



# ახალი ტანათლუტა

2012 წელი, 29 ნოემბერი - 5 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№36 (590) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## დღესასწაულად ქცეული ყოველდღიურობა



დღეს ეს მნიშვნელოვანი სკოლა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. დღემდე, გარდა უცხოელებისა, ამ სკოლის ბედით არავინ დაინტერესებულა (თუნდაც კერძო საქმორიდან). არადა, ნამდვილად საშური საქმეა ასეთი მრავალწლიანი კეთილი საქმის გაგრძელება. შეფარების მქონე 100 ქართველი მოსწავლე, შესაძლოა, სკოლის და გალის გარეშე დარჩეს. იმედია, სახელმწიფო თუ კერძო საქმორი

ბულბრილი არ დარჩება და მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-კვლევის სკოლა-ბაღი, მათი მხარდაჭერით, არსებობას გააგრძელებს.

კერძო ტიპის მსგავსი დაწესებულება საქართველოში არ არსებობს. სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვა, რომ ასეთი დაწესებულება შეინარჩუნეთ, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნება.

გვერდი 4-5






### დავით ზურაბიშვილი:

„ისეთ სისტემას უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ მინისტრის მოსვლაზე და მის პოლიტიკურ შეხედულებაზე. ყოველი ახალი „გადატრიალება“ განათლების სისტემაზე ძალიან მძიმედ ანისახება. ეს კონსერვატიული სისტემაა და ვერ იტანს მკვეთრ და მყისიერ ცვლილებებს, რადიკალურ სიხლეებს. ამ ყველა ცვლილება ძალიან თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.“

გვერდი 2

## „რა არის რა“ ახალი ტომები



რუსოენობა  
სუფელუღული  
სუფელუღული

ცხი სერი  
გსოლოდ სანი თვი

ერთი ტომის ფასი 9 ლარი

ინტერვიუ

ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურ სვლილებებს



ინტერვიუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან დავით ზურაბიშვილთან

ბატონო დავით, კიდევ ერთხელ განვმარტოთ - რას გულისხმობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა სტუდენტთა დაფინანსების ზრდის შესახებ

დაფინანსებასთან დაკავშირებით საქმე ძალიან მარტივად - სახელმწიფო დაფინანსება ორმაგდება, რაც შეეხება სახელმწიფო გრანტის ზღვარს - 2250-ს, ის არ შეიცვლება. თანხა გადანაწილდება 100, 70 და 50-პროცენტით დაფინანსებულ და გაცილებით მეტ აბიტურენტს მიეცემა გრანტის მიღების შესაძლებლობა. კიდევ გავიმეორებ, რომ ამ ზღვრის ზრდა არ იგეგმება, გაიზარდება დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა. ეს ცვლილება 2013 წლიდან შევა ძალაში და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზე გავრცელდება.

როგორი იქნება სამინისტროს ურთიერთობა უმაღლეს სასწავლებლებთან?

ახალ კონცეფციას გვინდა განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისია მუშაობს. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, პარლამენტში მომზადდება სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც, განათლების სამინისტრო კონცეფციის განხორციელებაზე იზრუნებს.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, პირველ რიგში, ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტი ავტონომიურობა უნდა მიენიჭოს, დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი უნდა იყოს. მეორე - პროფესორებს უნდა ჰქონდეთ მეტი უფლებები და აკადემიური თავისუფლება, მათი ბედი გარკვეული პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და დაცულობა სახელმწიფოსგან უნდა იყოს გარანტირებული. არსებობს ე.წ. „ტენუარის ინსტიტუტი“, რაც პროფესორის როლის ზრდას გულისხმობს.

სერიოზულ გადახედვას მოითხოვს აკრედიტაციის სამსახური. ბევრი რამ საჭიროებს რეფორმირებას და საჭიროა ისეთი სტანდარტის მიღწევა, რაც მსოფლიო სტანდარტებთან მიგვაახლოებს. ამ მხრივ, დღევანდელი ვითარება ნორმალური არ არის. ვფიქრობ, თავის დროზე, როცა უმაღლესი განათლების რეფორმა ტარდება, ძალიან დიდი შეცდომა იქნა დაშვებული.

ლი - მივიღეთ ისეთი კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც თითქმის ყველაფერს კარნახობდა უმაღლეს სასწავლებლებს - რა და როგორ ეკეთებინა. იმავდროულად, რატომღაც, სკოლებში სრულიად საპირისპირო რამ მოხდა - სრული დეცენტრალიზაცია, რაც სავსებით გაუგებარი იყო.

საჭიროა, უმაღლეს სასწავლებლებს მეტი თავისუფლება და ლავირების საშუალება ჰქონდეს. სახელმწიფოს როლი შემდეგია: პოლიტიკის განსაზღვრა და ფინანსების მიმართებაში თუ იმ უმაღლესი დაწესებულებისკენ.

განათლების პოლიტიკაზე მუშაობა უკვე დაწყებულია განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიაში. მიმდინარეობს დისკუსიები ე.წ. „ტენუარის ინსტიტუტთან“ დაკავშირებით, კომისია დეტალურად იმსჯელებს ყოველ საკითხზე. უმაღლესი სასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აუცილებლად ერთიან სისტემაში უნდა განვიხილოთ. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. ისეთ სისტემას უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ მინისტრის მოსვლაზე და მის პოლიტიკურ შეხედულებებზე. ყოველი ახალი „გადატრიალება“ განათლების სისტემაზე ძალიან მიმდებარეობს. ეს კონსერვატიული სისტემაა და ვერ იტანს მკვეთრ და მყისიერ ცვლილებებს, რადიკალურ სიახლეებს. აქ ყველა ცვლილება ძალიან თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

რა ბედი ელით სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს?

თავის დროზე, ძალიან ცუდი ფორმით განხორციელდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების მიერთება ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელთან. თავისთავად, პირადად მე მიმაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების არსებობა, რაც მსოფლიოში მიღებულია, სწორია. მაგრამ, ერთია სწორი მიზანი და მეორეა გზა, რომლითაც მიდხარ ამ სწორი მიზნისკენ. ჩვენ შემთხვევაში, სწორედ სწორი მიზნისკენ მიმავალი გზა არ იყო კარგად გააზრებული.

პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რა ინსტიტუტები გვაქვს და როგორ მუშაობენ ისინი, რა პერსპექტივა აქვთ. უმეტესი მათგანი

მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის სახითაა წარმოდგენილი, ბევრის მხოლოდ სახელია შემორჩენილი. გასარკვევია და მოსაგვარებელი ამ ინსტიტუტების შენობების პრობლემა. რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მეტი ფინანსები.

ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ჯერ უნდა მოვიფიქროთ, საით გვინდა სვლა, რა იქნება ჩვენი საბოლოო მიზანი და მერე - იქამდე როგორ ვიაროთ. თუ ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ გვინდა უნივერსიტეტებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა ერთად, უნივერსიტეტები და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტები ერთად, ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, როგორ გავხადოთ მათი თანაარსებობა უფრო პროდუქტიული. ასე რომ, ჩემი აზრით, მთავარია სტრატეგიის განსაზღვრა. არ მიმაჩნია გამართლებულად უნივერსიტეტის ცალკე, მხოლოდ სასწავლო დაწესებულებად განხილვა. ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს, მაშინ სამეცნიერო მუშაობას მეცნიერებათა აკადემია უწევდა ორგანიზებას. თანამედროვე მსოფლიოში საქმე სხვაგვარადაა. რა თქმა უნდა, სამეცნიერო გაერთიანებებს თავი-თავე მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ, მაგრამ უმეტესობა უნივერსიტეტებთან ფუნქციონირებს. თუ ჩვენ ამ ინტეგრაციისკენ ვაპირებთ სვლას, კარგად უნდა დაფიქრდეთ, რომელი გზა იქნება უფრო ეფექტური.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში რექტორების გადადგომის მოთხოვნის ტენდენცია შეინიშნება

ეს გასაკვირი არ არის. საქართველოში, წმინდა პოლიტიკურად, იყო რეჟიმი, გარკვეულწინებს განიცდიდნენ როგორც სკოლები, ასევე აკადემიური წრეებიც. ახლა, როცა ეს წინეხი მოხსნილია, ბუნებრივად ხდება ადამიანთა გააქტიურება - ვიღაც აპროტესტებს, ვიღაცას თანამდებობაზე ალდგენა სურს, ვიღაცას მოსწონს რექტორი, ვიღაცას - არა და ა.შ. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კანონის ფარგლებში, რომ არ შეილახოს უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლება და ავტონომიურობა. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უსამართლობა იქნა დაშვებული და ვიღაც პოლიტიკური მოსაზრებით იქნა განთავისუფლებული, სამართლიანობა უნდა აღდგეს. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, არ იყოს დიდი უკმაყოფილება, რადგან უკმაყოფილების ფონზე ძნელია გააჩნოთ ვინ დაისაჯა მართლა პოლიტიკური ნიშნით და ვის შემთხვევაში ეს ფაქტორი არააფერ შუაშია. ყველა შემთხვევა კონკრეტულადაა გასარკვევი და თუ სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, ამის რესურსი უნდა გამოიძებნოს.

ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურად ყველაფერის შეცვლას. ალბათ უკეთესი იქნება, მოსწონთ თუ არა კონკრეტული რექტორი, დაელოდონ არჩევნებს და იქ მიიღონ გადაწყვეტილება. დღეს ეს ნამდვილად მათი გადასაწყვეტია, ვინ იქნება ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი. ნინა ხელისუფლების პირობებში, სამუხაროდ, რექტორები ინიშნებოდნენ. დანიშნული რექტორები, ბუნებრივად, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ და ზემოდან ელოდნენ განკარგულებებს. ამიტომ

ეს მანკიერი პრაქტიკა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა არა ერთი რექტორის მოსაზრება იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც სასურველია განხორციელდეს უმაღლესი განათლების სფეროში. ერთ-ერთმა რექტორმა ყურადღება გაამახვილა განათლების მინისტრის 2011 წლის ბრძანებაზე, რომელიც 2015 წლიდან უნდა ამოქმედდეს - უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრის ხარისხის დამატარებელი დიპლომის მისაღებად საჭიროა ინგლისურ ენაში სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. „თბილისის მანძილზე მიღებული განათლების საპირწონე არის სასერტიფიკაციო გამოცდა ინგლისურ ენაში და რაოდენ მაღალი ხარისხის განათლებაც უნდა ჰქონდეს მიღებული ახალგაზრდას, იგი ვერ მიიღებს დიპლომს, თუ არ ფლობს ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამატარებელ სერტიფიკატს.“ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით კი, 240 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. კანონი სხვა დამატებით მოთხოვნებს არ აფიქსირებს.

პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არასერიოზულია. უცხო ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ინგლისური ენის სავალდებულოდ გამოცხადება არ მიმაჩნია სწორი. ინგლისური ენის ცოდნის დამატარებელი სერტიფიკატი არ უნდა იყოს გადაწყვეტილი ბაკალავრის დიპლომის გაცემის დროს. ინგლისური ენა საერთაშორისო ენაა, მსოფლიოსთან კომუნიკაციის მთავარი ენა და ახალგაზრდების უმრავლესობა, დავალდებულების გარეშე, ცდილობს დაეუფლოს. ინგლისური ენის შესწავლის ტენდენცია ბუნებრივად ვითარდება და ეს მომავალშიც ასე იქნება.

თუმცა, ეს არ არის უშუალოდ ჩვენს მეზობლებთან საურთიერთო ენა, ჩვენ არ გვესაზღვრება ინგლისურენოვანი ქვეყნები, უფრო რუსულენოვანი ქვეყნებია. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთში ინგლისურად ილაპარაკონ. იქ ბრიტანული კულტურის გავლენა ყოველთვის ძალიან დიდი იყო, ისევე როგორც გერმანულს. მაგრამ ერთმანეთთან საკონტაქტოდ ინგლისური აირჩიეს. ჩვენ ვერასოდეს ვიქნებით ისეთი ინგლისურენოვანი ქვეყანა, მაგალითად, როგორცაა ინდოეთი. ეს ქვეყანა ბრიტანეთის კოლონია იყო. იქ ათასობით სხვადასხვა ენაზე და დიალექტზე მოლაპარაკე ეთნოსური ჯგუფია, მათი დამაკავშირებელი ენა გახდა ინგლისური. საქართველოს შიგნით ეს პრობლემა არ დგას. ჩვენ ინგლისური ენა მსოფლიოსთან საურთიერთოდ გვინდა. თუ ხელს შეუწყობთ, კარგი იქნება, მაგრამ დავალდებულება მიზანშეწონილი არ არის. ბაკალავრიატის დიპლომის მისაღებად ინგლისური ენის ცოდნის სავალდებულოდ გამოცხადება, ამ ენის შესწავლას ფორმალურ ხასიათს მისცემს.

ესაუბრა ლალი თვალაპაიშვილი

ღია ნარილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ბიორბი მარგველაშვილს

ბატონო მინისტრო,

თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ახორციელებდა საქართველოს განათლების სისტემის თეორიულ უზრუნველყოფას. აქ ტარდებოდა მნიშვნელოვანი კვლევები სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემებზე, იქმნებოდა სასწავლო სახელმძღვანელოები, ხორციელდებოდა სწავლებისა და აღზრდის პროცესში შესატანი ცვლილებების მონიტორინგი, ჩვენი თუ უცხოური ახალი პედაგოგიური კონცეფციების ანალიზი, მუშავდებოდა მეცნიერული პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ტარდებოდა პედაგოგიური ექსპერიმენტები (მათ შორის მსოფლიო მასშტაბით ერთობ პოზიტიურად გახმაურებული), ხორციელდებოდა ინტენსიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, მზადდებოდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრები. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო იმ პედაგოგიური კვლევითი მუშაობის კოორდინაცია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიის კათედრებზე მიმდინარეობდა.

ამას გარდა, ინსტიტუტი ასრულებდა განათლების სამინისტროს ერთდროულ დაკვეთებს ამა თუ იმ პრობლემის შესწავლისა და სათანადო დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო ჩვენი ინსტიტუტისა და საერთოდ ქართველ მეცნიერ პედაგოგთა აზრის უგულვებლყოფა და, საერთოდ, ჩვენი საგანმანათლებლო ტრადიციების დისკრედიტაცია, ხოლო „ვარდოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ - დაუფარავი აგრესია ქართული საგანმანათლებლო სისტემისა და პედაგოგიის მეცნიერების წინააღმდეგ.

ჩვენს ინსტიტუტს დამოუკიდებლობა წაართვეს და ე.წ. ილიას უნივერსიტეტს შეუერთეს, თუმცა ამას შეერთებასაც ვერ უწოდებ, რადგან ინსტიტუტთან არანაირ ინტეგრაციაში არ შეესულივართ. ეგ იყო, რომ რაღაც მიზეზების გამო სახელი შეუნარჩუნეს და ერთ-ერთ ფაქტორთან არსებულის სტატუსი მიანიჭეს. შემდეგ ჯერ საკადრო გენოციდი განხორციელეს - მასობრივად გაუშვეს მეცნიერი მუშაკები „სტაბილიზაცია“ და ინსტიტუტი რეალური პოტენციალის გარეშე დატოვეს, შემდეგ კი სახელფასო დაფინანსება მოუხსნეს და თვითდაფინანსებაზე გადაიყვანეს. იმ პირობებში, როდესაც ჩვენში პედაგოგიური პრობლემების კვლევაზე დამკვეთი არ არსებობს, თვითდაფინანსებაზე გადაყვანა დახურვის ტოლფასია. დამკვეთი კი იმ-იტომ არ არსებობს, რომ განათლების სამინისტროსათვის დღემდე მნიშვნელოვანია არა ქართული პედაგოგიის აზრი, არამედ კენიასა თუ ნიგერიაში შემუშავებული თეორიები, რომელსაც ჩვენი უცხოელი „მეგობრები“ სთავაზობენ ჩვენს „რეფორმატორებს“. ამან რაც გამოიწვია, კარგად მოგეხსენებათ.

ჩვენ მიგვაჩნია, ბატონო მინისტრო, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობის ტრადიციების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად აღდგენა აუცილებელია, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, სკოლა - განათლების სისტემის საფუძველი იმართება არა მარტო ადმინისტრაციულად, არამედ მეთოდოლოგიურად და რომელი უფრო მნიშვნელოვანი მართვის ბერკეტი, ამის თქმა ძნელია. რა თქმა უნდა, განათლების გლობალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლებელია და სასურველიც არ არის, მაგრამ უცხოური მეთოდოლოგიური თეორიებისა თუ კონკრეტული რეკომენდაციების მექანიკური გადმონერგვა სასარგებლო არ არის. პირიქით! ამის თვალსაჩინო მაგალითებს ადვილად იპოვით ცივილიზებული მსოფლიოს როგორც წარსულის გამოცდილებაში, ისე დღევანდელ პრაქტიკაში.

ბუნებრივია, ბატონო მინისტრო, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ინსტიტუტი უნდა აღდგეს ძველი, გაბერილი საშტატო შემადგენლობითა და კადრებით. აღდგენისადმი რაციონალური მიდგომის შემუშავება რთული პრობლემა არ არის, თუკი ხელისუფლების ორგანოთა კეთილი ნება იქნება.

იმედი გვაქვს, ასეთი ნება იქნება.

პატივისცემით, ზურაბ ცუცქერიძე, პედაგოგიის დოქტორი

საქართველო

# პოლიტიკური ნიშნით დავნილი პედაგოგების საქმის შესახებ კომისია შეიქმნა

## მაკა ყიფიანი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პოლიტიკური ნიშნით დავნილი პედაგოგების საქმეების შემსწავლელი კომისია შეიქმნა. ამ ინიციატივის შესახებ განცხადება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ურნალისტიკისათვის გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. კომისიამ 26 ნოემბრიდან დაიწყო მუშაობა და მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე ხელმძღვანელობს. ამ დროისათვის სამინისტროში განსახილველად 500-მდე განცხადებაა შესული. როგორც მინისტრმა ურნალისტიკისათვის შეხვედრაზე აღნიშნა, კომისია, რომელიც სამინისტროში შექმნა, ვალდებული იქნება ყველა საქმე გამოიკვლიოს და შეძლებისდაგვარად მოაგვაროს პრობლემა.

**გიორგი მარგველაშვილი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვიცოდით, პოლიტიკური ნიშნით მასწავლებლების გათავისუფლების

ფაქტების შესახებ, 30 ოქტომბერს, სამინისტრომ გამოაცხადა სამკვირიანი ვადა, რათა საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ და ცივილიზებულ ნაწილს მოეხერხებია და დაეძლია პრობლემა (შევახსენებთ მინისტრის 30 ოქტომბრის მიმართვას: „მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვთვლი, რომ იმ ავტორიტარულ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელ საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში, აღარ მოხდეს პოლიტიკური ნიშნით დაყოფა... ამ მდგომარეობიდან ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მიიჩნია, რომ თითოეულმა თქვენგანმა არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, გამოახოთ ყველანაირი საშუალება, რათა შეძლოთ ერთმანეთში მორიგება და თავიდან დაიწყეთ თანამშრომლობა. ჩემი აზრით, ეს იქნება საუკეთესო გზა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ ეს ვადა მივცით პედაგოგებს, პროფესორებს, მასწავლებლებს, დირექტორებს. ვიცით, რომ იყო

შემთხვევები, როდესაც საზოგადოებამ თავად დაძლია პოლიტიკური დევნის შედეგები. თუმცა, მინდა განვაცხადო, სამწუხაროდ, ეს საკითხები ყველგან არ გადაწყვეტილა. სამინისტროში შემოვიდა ძალიან ბევრი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრ ადამიანს რჩება განცდა, რომ პოლიტიკური ნიშნით დევნილია და მისი პოლიტიკური უფლებები არ არის აღდგენილი. აქედან გამომდინარე, სამინისტროში ვქმნით კომისიას, რომლის მიზანი იქნება, მოიკვლიოს ყველა ასეთი საქმე, თუ რამდენად არიან ეს ადამიანები პოლიტიკური ნიშნით დევნილები, რა არის მათი უფლებები და როგორ შეიძლება ამ უფლებების აღდგენა. შესაბამისად, კომისიამ, შეძლებისდაგვარად, უნდა მოაგვაროს ეს დავები“.

**ალუდა გოგლიჩიძე**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „დავების შემსწავლელი კომისიის უპირველესი ამოცანაა შევისწავლოთ საკითხები, დავადგინოთ ფაქტები, გარემოებები და, რაც მთავარია, გავაკეთოთ სწორი დასკვნები, მივიღოთ შესაბამისი რეკომენდაციები პრობლემის აღ-

მოსაფხვრელად. ამისათვის დიდი სიფრთხილე და მოქნილობაა საჭირო, რათა სამართლებრივ ჩარჩოებში ვიმოქმედოთ, შევძლოთ საკითხების რეალურად შესწავლა“.

მინისტრის განცხადებით, კომისია მაქსიმალურად შეეცდება დავების გადანყვეტას და ყველა პოლიტიკური ნიშნით დევნილი განათლების მუშაკის საკითხის განხილვა ღიად მოხდება. აღსანიშნავია, რომ კომისიის მუშაობაში ჩაერთვებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძოდ: „სამართლიანი არჩევანისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“; „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ორგანიზაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“; „განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი“; სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. ასევე, კომისიის საქმიანობაში ჩაერთვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენისპექცია და იურიდიული დეპარტამენტი.

## ინფორმაცია

### პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“ კონფერენცია გაიმართა

პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“ ჩატარდა კონფერენცია, თემაზე – „კერძო სექტორის ჩართულობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში“. კონფერენცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის (GIZ PSDP Georgia) ფარგლებში გაიმართა და მასში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანიანი მონაწილეობდნენ.

კონფერენციის მიზანი პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის შესაძლებლობების გააცნობა და ამ მიმართულებით პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ გამოცდილების გაზიარება იყო.

„სპექტრში“ 32 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, მათ შორის: ფართო პროფილის მშენებელი, ზეინკალი, მკერავი, ელექტრიკოსი, მაცივრებისა და ავტომობილების შემკეთებელი, მძერნავი (არქიტექტურული დეტალების), სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი, გარემოს დაცვის ტექნიკოსი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, ბუღალტერი, ოფისის მენეჯერი, მეზაღე, ტოპოგრაფისტი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, პოლიგრაფისტი და სხვ.



### მემორანდუმი საქართველოს გოეთის ინსტიტუტთან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს გოეთის ინსტიტუტთან მემორანდუმი გააფორმა. ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი, გერმანული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ◆ გერმანული და ქართული სპეციალისტები შეიმუშავებენ გერმანული ენის მასწავლებელთა გრძელვადიან ტრენინგპროგრამას და უზრუნველყოფენ მათ მომზადებას სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის;
- ◆ სპეციალურ ონლაინპორტალზე განთავსდება მასალა, რომელიც დაეხმარება გერმანული ენის მასწავლებლებს გერმანული ენის გაკვეთილის მომზადებაში;
- ◆ სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირებული მასწავლებლებისთვის ჩატარდება სემინარები და სხვ.

მემორანდუმს ხელი საქართველოს გოეთის ინსტიტუტში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა და საქართველოს გოეთის ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორ შტეფან ვაკეიცმა მოაწერეს.

### ქართული მასწავლებლები CERN-ში



ფიზიკის მასწავლებლები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში – CERN-ში გაემგზავრნენ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პედაგოგების ჯგუფი შეიცარიაში ნელს უკვე მეორედ გაუშვა.

ერთი კვირის განმავლობაში ფიზიკის მასწავლებლები CERN-ის საგანმანათლებლო ცენტრში ქართული და უცხოელი სპეციალისტების ლექციებს მოისმენენ. გარდა ამისა ისინი სწავლების პრაქტიკულ კურსსაც გაივლიან. პედაგოგების ჯგუფი CERN-ში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ექსპერიმენტსაც გაეცნობა. CERN-ში მასწავლებლები თბილისისა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სკოლებიდან გაუშვეს. მათი შერჩევა სერტიფიკაციის ქულების მიხედვით მოხდა. ჯგუფში 13 პედაგოგია და თითოეულ მათგანს უმაღლესი ქულა აქვს მიღებული.

### პროექტის პრეზენტაცია

მასწავლებლის სახლში ქართულ-ბრიტანული საპილოტე პროექტის „მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცნობიერების ამაღლება“ პრეზენტაცია გაიმართა. ლონისძიებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტები და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე მონაწილე მასწავლებლებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და სატრენინგო კურსები გააცნეს.

პროექტი „მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცნობიერების ამაღლება“ ითვალისწინებს, მასწავლებლების კომპეტენციებისა და საჭიროებების მიხედვით, მათთვის შესაფერისი აქტივობების/სატრენინგო კურსების შერჩევას. ტრენინგები ჩატარდება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინრეჟიმში. პროექტში სულ 150 პედაგოგია ჩართული, მათ შორის არიან მასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

### მასტერკლასი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის

მასწავლებლის სახლში ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა მასტერკლასი ჩაატარა. ექსპერტმა თბილისის სხვადასხვა სკოლების პედაგოგებთან სკოლებში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებაზე ისაუბრა.

ზაზა შათირიშვილმა ყურადღება გაამახვილა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლების თავისებურებებზე, ამ პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე. გარდა ამისა, საუბარი იყო „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების მნიშვნელობასა და ნაწარმოების თემატიკის სწორად მიწოდებაზე. შეხვედრაზე პედაგოგებმა კითხვები დასვეს და საკუთარი გამოცდილების შესახებაც ისაუბრეს.

მასწავლებლის სახლში პედაგოგებისა და ცნობილი ექსპერტების შეხვედრები გაგრძელდება და ყველა საგნის სპეციალისტებთან ჩატარდება.

მთავარი თემა

# დღესასწაულად ქცეული ყოველდღიურობა

ლალი ჯალაქი

არაკომერციული ორგანიზაცია „თავისუფალი პედაგოგიის ცენტრი“ 1991 წელს პედაგოგ-დეფექტოლოგმა, პედაგოგიის მეცნიერებებთან დოქტორმა მარინა შოსტაკმა დააფუძნა. ცენტრი შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ვალდორფის პედაგოგიის საერთაშორისო ასოციაციის, სამკურნალო პედაგოგიისა და სოციალურ თერაპიის უმაღლესი ბანათელის საერთაშორისო წრის წევრია. თავისუფალი პედაგოგიის ცენტრი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. ორგანიზაციის დაფუძნებდან ერთი წლის შემდეგ, ცენტრის ბაზაზე, საკვირაო სამსახურის სკოლა გაიხსნა, რომელიც მოსწავლეებთან ვალდორფის პედაგოგიის პრინციპით მუშაობდა ოთხი წელი, სამ ასაკობრივ ჯგუფთან (5-7, 7-9 და 9-14) – ფრენა, ხატვა, ხელმარჯობა, მუსიკა, ქსოვა, კერამიკა. ამის შემდეგ ცენტრი მუშაობას აწარმოებს და დღეს თავისუფალი პედაგოგიის ცენტრი რამდენიმე ხანგრძლივ პროექტს (ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფს) ახორციელებს:

- ◆ სამკურნალო-პედაგოგიური საბავშვო ბაღი „მზა შინა“;
- ◆ მთავარანგელოზ მიქაელის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა, ევროპაში ცნობილი როგორც „MICHAELSCHULE“;
- ◆ სასწავლო ფაკულტეტი (პედაგოგების მოსამზადებელი 3-წლიანი, სამკურნალო-პედაგოგიური სემინარი);
- ◆ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური ცენტრი;
- ◆ ტრენინგები მასწავლებლებისათვის.



**თავისუფალი პედაგოგიის ცენტრი, დამატებითი პედაგოგიური ბანათელის სასწავლო ფაკულტეტი, სამკურნალო პედაგოგიკაში (საპედაგოგიური პედაგოგიკა), მუშაობა 1991 წელს დაიწყო, ვალდორფის პედაგოგიის კურსებით. 1998 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს სამკურნალო პედაგოგიის კურსები (სამკურნალო-პედაგოგიური სემინარი), რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია განიარაღა და აღიარებულია სამკურნალო პედაგოგიისა და სოციალური თერაპიის საერთაშორისო საბჭოს მიერ.**

**დამატებითი პედაგოგიური ბანათელის სასწავლო ფაკულტეტი სამკურნალო პედაგოგიკაში (საპედაგოგიური პედაგოგიკა) მთავარანგელოზ მიქაელის სკოლა:**

- ◆ 2-წლიანი ძირითადი კურსი სამკურნალო პედაგოგიკაში (სამკურნალო პედაგოგიის სპეციალისტის მომზადება);
- ◆ სხვადასხვა ხანგრძლივობის (5 დღიდან დაწყებული 3 თვემდე) ტრენინგ-კურსები სპეციალურ პედაგოგიკაში (სამკურნალო და ოლიგორფენოპედაგოგიკა);
- ◆ კონსულტაციები სპეციალურ პედაგოგიკაში.

პროფესიით პედაგოგ-დეფექტოლოგმა, პედაგოგიურ მეცნიერებებთან დოქტორმა მარინა შოსტაკმა სკოლის გახსნა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ხედავდა განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობის ტრადიციულად მოქმედი მეთოდიკა სათანადო შედეგს ვერ იძლეოდა. „ვალდორფის პედაგოგიის შესახებ, ბუნებრივია, ვიცოდით, მაგრამ ერთხელ აღმოვჩინე კონფერენციაზე, რომელიც განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების აღზრდის ცენტრში გაიმართა შედეგით. იქ ნანახმა იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, გადავწყვიტე, ყველაფერი მეღონა იმისთვის, რომ ჩვენს ქალაქშიც გამეხსნა მსგავსი ცენტრი. ჩემი მიზანი განვხორციელებ, სკოლა ერთი კლასით გაიხსნა და დღეს უკვე 100-მდე მოსწავლეს ემსახურება“ – გვიამბობს ქალბატონი მარინა.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის გარემოც და მიდგომაც განსაკუთრებულია. თბილი გარემო, კეთილმოწყობილი შენობა, სადაც თითოეული დეტალი მათ საჭიროებებზეა გათვლილი, შენობაში გამოყენებული მასალაც კი გამოჯანმრთელების ერთ-ერთი კომპონენტია, ინტერიერის დიდი ნაწილი ხითაა დაფარული, პანდუსები განსაკუთრებულად მოწყობილი და როგორც ქალბატონმა მარინამ გვითხრა, ეს

პირველი სკოლა აღმოჩნდა, სადაც პანდუსები დამონტაჟდა. იქ შესული ხვდები, რომ რაღაც განსაკუთრებულთან გაქვს შეხება, გარემო გარკვეულად გეგრძობინებს, რომ აქ ერთმანეთს ძალიან უფრთხილდებიან. ტემპერატურაც კი აუცილებელი და მკაცრად გასაკონტროლებელია, რადგან დაბალმა ტემპერატურამ შესაძლოა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედოს, იქ ხომ ცერებრალური დამბლით დაავადებული პატარებიც არიან. შენობის ინტერიერი ბავშვების ხელით შექმნილი ნახატებით, ნაქარგებით და მოზაიკითაა მოფენილი, შესასვლელშივე პატარა მაღაზიაა, სადაც მოსწავლეების მიერ დამზადებული თოჯინები აწყობა. შენობას ძალიან ლამაზი ეზო აქვს, ბავშვებს – დიდი სათამაშო მოედანი.

იმ დღეს გორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, მშობლებმა სპექტაკლი უნდა აჩვენონ, შემდეგ მოსწავლეების გუნდი იმდენებს, ბოლოს პატარების კონცერტია. ტრადიციულად, დღესასწაულს განსაკუთრებული აღნიშნავენ. მათთვის რეალიზება ძალიან მნიშვნელოვანია, შექება კი განსაკუთრებულ ემოციას აღძრავს, წარმოუდგენლად ბევრ სიტბოს გამოხატავენ ყველას მიმართ, ვინც მათ ყურადღებას იქცევს. გორგობის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულის ტრადიცია არ ირღვევა – ყველანი ერთად მათივე დაწერილი ბადაგიტ მომზადებულ თათარაში ჩურჩხელებს ავლებენ. ბოლოს კი, სასადილო ოთახში მაგიდაზე მოთავსებულ „გრძელ ურჩხულს“ – ტორტს ქრიან. ბავშვები უზომოდ კმაყოფილები არიან, პედაგოგები კი – ამით ბედნიერები.

საბავშვო ბაღი „მზა შინა“ 3-დან 7 წლამდე ასაკის, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვებზეა გათვლილი. საბავშვო ბაღი ვალდორფის პედაგოგიის პრინციპით მუშაობს, რომლის მიზანი ბავშვის სწორი აღზრდაა, მისი ნების, გრძობის, აზროვნების თანაბრად განვითარება. აქცენტი მიმართულია შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებაზე. „თითოეულ ბავშვში ვეძებთ უნარს, რომელსაც ვეჭიდებით და ვავითარებთ. ნებისმიერ ბავშვს, მიუხედავად გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობისა, აქვს რაიმე უნარი, რომლის განვითარებაც ჩვენი ცენტრის საუკეთესო სპეციალისტები ზრუნავენ, თითოეული მათგანისთვის ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამების მეშვეობით“ –

გვიამბობს ქალბატონი მარინა. ეს ყველაფერი კი ხორციელდება ფრენის, ხატვის, სიმღერის, მოძრაობის თამაშების, ხელმარჯობის, მუსიკის, ევრითიმის, სპექტაკლის, ზღაპრის საშუალებით.

სპეციფიკური მეთოდიკა და თერაპიის მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა, რომ ბავშვს გაუფრთხილდეს ინტელექსი სამყაროსადმი, გამოვლინდეს მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, განუვითარდეს მეტყველება, მოძრაობა, აზროვნება, ნება და სხვ., მოხდეს მისი რეაბილიტაცია და ინტეგრირება საზოგადოებაში.

ყოველივე ამას თან ახლავს დიდი თერაპიული მხარდაჭერა: მასაჟი, არტთერაპია, სამკურნალო ვერითმია, ლოგოპედია. დიდი ყურადღება ექცევა ნელნადის, კვირის, დღის რიტმების დაცვას, რაც ბავშვს სწორ განვითარებასა და გარემომცველი სამყაროს ადეკვატურ აღქმაში ეხმარება. საბავშვო ბაღში 3-ჯერადი კვება.

არც ბაღში და არც სკოლაში ბავშვები დიაგნოსტიკის გარეშე არ მიიღებიან. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრი, რომლის პროექტიც გერმანულ ორგანიზაცია „Aktion Mensch“-თან ერთად ხორციელდება, ადრეული ასაკის სხვადასხვა ინტელექტუალური და ფიზიკური პრობლემების მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების მხარდაჭერასა და კონსულტაციებს ემსახურება. საკონსულტაციო ცენტრში ხორციელდება: დიაგნოსტიკა (ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, ლოგოპედიური), კონსულტაციები და რეკომენდაციები (ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, ლოგოპედიური), ლოგოპედიური და სამკურნალო პედაგოგიური დახმარება; თერაპიული მუშაობა (მასაჟი, ევრითიმია, სამკურნალო ფიზიკულტურა, არტთერაპია); ფსიქოლოგიური დახმარება ბავშვებისა და მშობლებისათვის. ადრეული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დიაგნოსტიკა ეხმარება მშობლებს სწორად „წარმართონ“ ბავშვები, აირჩიონ აუცილებელი კორექციული და თერაპიული მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის სწორ განვითარებას.

მთავარანგელოზ მიქაელის სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში 10-წლიან ზოგად განათლებას იღებენ და მიმდინარეობს შრომითი სწავლება, ხოლო ბოლო 2 წელი ეთმობა ახალგაზრდების პროფესიულ აღზრდას.

სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა მუშაობს ვალდორფის პედაგოგიის მეთოდოლოგია და სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის



მთავარი თემა

პროგრამით, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ პროგრამას მოიცავს. სკოლის ძირითადი მიზანია – ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების სწავლა-აღზრდა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია, დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევების განვითარება და ბავშვების საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება. პროგრამა შეეფარდება ბავშვის განვითარების ასაკობრივ ეტაპებს, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვების ნების, გრძნობისა და აზროვნების, თავისებურებებისა და უნარების თანაბარი განვითარების გათვალისწინებით. „ჩვენთან ბავშვები ასაკის მიხედვით არიან განაწილებული კლასებში, რაც სხვაგან არ ხდება. მაგალითად, არც ერთ შემთხვევაში, 14 წლის ბავშვს, რომელმაც არ იცის წერა და კითხვა, დაწყებით კლასებში არ დავსვამთ, ის თანატოლებთან ხის კლასში, მაგრამ მასთან აუცილებლად ინდივიდუალურად მუშაობს პედაგოგი და, საერთო საგაკვეთილო პროცესის გარდა, შეძლებისდაგვარად, ასწავლის და ცდილობს დაწინაურებას თანატოლებს. დაბეჭდვითი შემოქმედებით ვითარდება, რომ დღეს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სკოლა სრულად აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო მოთხოვნას, რასაც მსგავსი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს უყენებენ. ამას აღნიშნავენ ჩვენი უცხოელი კოლეგებიც, რომლებმაც ჩვენი სკოლა მოინახულეს. როგორც გითხარით, სკოლაში ვალდორფის მეთოდით ვმუშაობთ, თუმცა, არც ერთი მეთოდის მექანიკურად გადმოტანა და დაწერვა სწორი არ არის. აუცილებელია, ჩვენს რეალობას მოვარგოთ და განვითარების ნიშნით ყველა ნიუანსი ისე, რომ შევინარჩუნოთ მისი ძირითადი არსი. ვალდორფის პედაგოგიკაზე მომუშავე სკოლების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნებში დაახლოებით 800-ია. ეს მეთოდიცაა ჯანმრთელი ბავშვებთანაც გამოიყენება, მისი საშუალებით მაქსიმალურად იხსნება ბავშვის მონაცემები, ხელოვნების ფართო შესაძლებლობების გამოყენებით. ამიტომ ხელოვნებას დიდი დრო ეთმობა, მიიჩნევა, რომ მხატვრული შემოქმედება ადამიანის პოტენციალის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენს ბავშვებში ჯანსაღ სულიერ სანყის ვხედავთ, რასაც ვეყრდნობით და შემდგომ ყველაფერს ამაზე ვაგებთ. უკან თუ მივიხედავთ, დავინახავთ, რომ მართლაც ბევრი საქმე გაკეთდა. ვთანამშრომლობთ სხვა ქვეყნების ახალგაზრდა ცენტრებთან. პარტნიორების დახმარებით ძალიან ბევრი რამ შევძელით, თუნდაც ის, რომ სკოლისთვის ძალიან კარგი შენობა აშენდა. ცენტრი ფუნქციონირებს, თუმცა დღეს სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდით.“ – გვითხრა ქალბატონმა მარინამ.

განსაკუთრებული მეთოდით აგებული გაკვეთილი, მასში ჩართული რიტმული და სამეტყველო სავარჯიშოები, არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ თერაპიულ დატვირთვასაც ატარებს. სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების – მშობლიური ენა, მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მხარეთმცოდნეობა და სხვ. – სწავლებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა ხელის მუშაობას. I-X კლასებში ისწავლება ქსოვა, ვეიქრობა, თექა, ქარგვა, ხეზე მუშაობა, მოზაიკა, მეზაღობა – ყოველივე ეს ავითარებს არა მარტო თითების მოტორიკასა და წვრილ მოტორიკას, არამედ ნებას, მიზანდასახულობას, მორალურ თვისებებს. ბავშვები ამზადებენ მხოლოდ აუცილებელ საგნებს: ხელსაწმენდებს სკოლისათვის, სამზარეულოს დაფებს, უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის ქსოვენ წინდებს და სხვ.

დიდი დრო ეთმობა ხელოვნებას: ფერწერას, მოდელირებას, ევრიტიმას, თეატრს, მუსიკას. მთავარია არა მხატვრული შედეგი, არამედ განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვის შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და პარამორფული განვითარება. სკოლის ერთ-ერთ მხატვრულ-თერაპიულ მიმართულებას წარმოადგენს თეატრი (სპექტაკლი და თოჯინების თეატრი). თეატრალური ხელოვნება ბავშვებში ავითარებს ადეკვატურ ქცევას, პასუხისმგებლობას, სოციალურობას, ურთიერთგაგებას, თავმოყვარეობისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობას. თოჯინების სპექტაკლი ეხმარება აუტისტ ბავშვებს, თოჯინების დახმარებით ურთიერთობა დაამყარონ სხვა ბავშვებთან. განსაკუთრებული შედეგი აუტისტ ბავშვებზე სწორედ თოჯინების თე-

ატრმა იქონია, მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როცა ისინი თოჯინების ენით ალაპარაკდნენ. ვმუშაობთ რამდენიმე პროექტზე: თეატრალური სტუდია „ჯადოსნური ფლიტა“, საბავშვო კაფე „წითელი ვაშლი“, სასკოლო გუნდი „მზე“, ფუნქციონირებს ევრიტიმული ჯგუფი.

მეცადინეობების პარალელურად ხორციელდება დიდი თერაპიული მხარდაჭერა: მასაჟი, სამკურნალო ფიზიკულტურა, სამკურნალო ევრიტიმია, არტთერაპია და, ნელს პირველად, ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის – იოთერაპია (თერაპია ცხენის დახმარებით). ქალბატონმა მარინამ იპოდრომთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ბავშვები, კვირაში ერთხელ, იპოდრომს სტუმრობენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თერაპია მათ განვითარებას და სოციალურ ადაპტაციას უწყობს ხელს. ისინი მუდმივად სკოლის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ზამთარში სკოლაში 11 კლასი და ერთი სკოლაგარეშე ჯგუფია, სადაც 100-მდე მოსწავლე სწავლობს.

უფროსკლასელებისათვის და კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც წასასვლელი არსად აქვთ, გახსნილია პროფესიული განათლების ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სკოლაგარეშე პროფესიული უნარებისა და ელემენტების გამოუმუშავებას. პურის ცხობა (საცხობში პური მთელი სკოლისთვის ცხვება); თექა, ქსოვა, ქარგვა; სასკოლო კაფე „წითელი ვაშლი“; დურგლობა, ჭრა-კერვა; მომსახურების სფერო – ასეთი მრავალფეროვანია იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომელსაც სასწავლო სახელოსნოებში ვუფლებიან.

**ლილი ადამაშვილი**, პროფესიული ჯგუფის ხელმძღვანელი: „ჩვენ ახალგაზრდებს ცხოვრებისთვის ვამზადებთ, პროფესიებთან ერთად ვასწავლით ელემენტარულ უნარებს, რაც მომავალში გამოადგებათ. ორი სასტუმრო ოთახი გვაქვს, ბავშვები ამ ოთახებს ალაგებენ, ლოგინს შლიან სტუმრებისთვის, რეცხავენ თეთრულს; ხშირად მიგვყავს მალაზიაში და ერთად ვყიდულობთ პროდუქტებს. გვინდა, ისინი ყოფილი უნარებს მივაჩვიოთ, მშობლებს გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად რომ შეძლონ თუნდაც პურის ყიდვა. ქუჩაში მოძრაობის ნესებსაც ვაჩვენებთ. პროფესიებიდან ვასწავლით ჭრა-კერვას, ქსოვას, ხეზე მუშაობას, მოზაიკას, ცხობას. ფუნქციები განაწილებულია, მაგალითად, კერვის დროს ყველამ იცის თავისი ფუნქცია – ვინ დალაგებს, ვინ მანქანით გაეგროს, ვინ ნაკერი გადატეხოს. ყველაფერს ერთად ერთი ბავშვი ვერ ასრულებს (ასეთი თითო-ორი). დავალბულ საქმეს მონდომებით ასრულებენ. რაც მთავარია, მოსწონთ, როცა რაიმეს ქმნიან. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა, სოფომ, იმდენად კარგად შეისწავლა კერვა, რომ ახლა გვეხმარება – სხვებსაც ასწავლის, სხვებზე ზრუნავს. ასევეა საცხობშიც, ზოგი ფქვილს ცრის, ზოგი ცომის გუნდას აკეთებს. განსაკუთრებით ხალისიანად მუშაობენ კერამიკულ მოზაიკაზე, ეს ძალიან კარგი მეთოდი ნერვილი მოტორიკისა და გონებრივი განვითარებისათვის.“

ამის გარდა, მუსიკის გაკვეთილებიც უტარდებათ, გვყავს გუნდი, სადაც ბავშვები მღერაან, მონაწილეობენ სპექტაკლებში, ვაწყობთ ექსკურსიებს. სახლში წასვლა აღარ უნდათ ხოლმე. აქ მათთვის საინტერესო ცხოვრებაა, მთელი სამყაროა, სადაც თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ბევრ სიტუაციას იღებენ და გასცემენ კიდევ. მათ დიდი სიყვარულის და მადლიერების გამოხატვა შეუძლიათ. ყოველ წელს ცდილობენ გაგრძობინონ, როგორ უყვარხარ. ეს კი, ბუნებრივია, ჩვენზე დადებითად მოქმედებს და ჩვენგან თბილი მიდგომა, გარკვეულწილად, ამითაა განპირობებული.

სკოლაში გატარებული ყოველი დღე მათთვის დღესასწაულია, ყოველმხრივ ვცდილობთ, განსაკუთრებული გარემო შევქმენათ. ვიცი, ასეთი კატეგორიის ბავშვებთან მუშაობა ბევრისთვის რთულია, ჩვენთვის კი – ჩვეულებრივი, რადგან მათთან ურთიერთობაში მთავარია ჯანმრთელი სული და შემდეგ უკვე მათი პრობლემები.“

ქალბატონი ლილის სიტყვები, იმდენად ნრფელი და თბილია, რწმუნდები, ეს სკოლა საუკეთესო მოდელია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადგილი, სადაც ამ კატეგორიის ადამიანების ადაპტირება და სოციალიზაცია ხდება. ისინი აქ მხოლოდ დადებითი და სასიამოვნო განცდებით ივითარებენ უნარებს, ახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას არა როგორც განსხვავებული შესაძლებლობების მქონენი, არამედ, როგორც ჩვეულებრივი

ადამიანები. სწორედ ასეთი მიდგომა განისაზღვრება ამ სკოლის სწავლა-აღზრდის პროგრამებითა და მეთოდებით.

აქ, გარდა სკოლა-ბაღისა, განსაკუთრებით მიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს „დღის ცენტრი“ ემსახურება.

დღეს ეს მნიშვნელოვანი სკოლა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. დაარსებიდან დღემდე, საერთაშორისო კავშირების დახმარებით, ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. „ხშირად, – იხსენებს ქალბატონი მარინა, – როცა ფინანსურად გავიჭირდებოდა, უცხოელები პირდაპირ ჯიბიდან იღებდნენ სკოლისთვის შემოწირულ თანხას და შეძლებისდაგვარად აფინანსებდნენ ჩვენს ბავშვებს“. ხელფასები ძალიან დაბალია, მაგრამ ამას არავინ ჩივის, მთავარია, ბავშვებისთვის საჭირო რესურსი ჰქონდეთ, რადგან ჩვეულებრივი სკოლებისაგან განსხვავებით ასეთი ტიპის დაწესებულება გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს. მათთვის განსაკუთრებით მძიმეა ზამთრის გადატანა, რადგანაც სკოლის გათბობა (შენობა აუცილებლად კარგად უნდა გათბეს), დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. არადა, სკოლა ჩვეულებრივი კერძო სკოლის სტატუსის მატარებელია და არანაირი შეღავათით არ სარგებლობს, როგორც სპეციალური საჭიროების მქონე დაწესებულება. ვაუჩერსაც კი კერძო სკოლა, როგორც მოგვხსენებთ, ჩვეულებრივ სკოლაზე ნაკლებს იღებს. თანა იმდენად მიზრულია, რომ შეუძლებ-

ლია თუნდაც ერთი მოსწავლის უზრუნველყოფა. კერძო ტიპის მსგავსი დაწესებულება საქართველოში არ არსებობს. სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვა, რომ ასეთი დაწესებულება შევინარჩუნოთ, ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნება.

მიმდინარე პერიოდში თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი ახორციელებს ერთობლივ პროექტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფონდ FREUNDE DER ERZIEHUNGSKUNST-თან ერთად. სამინისტრო დღის ცენტრის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, სადაც განსაკუთრებით მძიმე ბავშვები არიან.

საერთაშორისო დონორები ჰყავს სკოლას გერმანიის სახელმწიფოს დახმარებით. თუმცა, იანვრიდან დონორი ორგანიზაცია დაფინანსებას წყვეტს და სკოლა იმ მიზრული ვაუჩერის ამარა რჩება, რომელიც ზამთრის გათბობის ხარჯსაც კი ვერ დაფარავს. დღემდე, გარდა უცხოელებისა, ამ სკოლის ბედით არავინ დაინტერესებულა (თუნდაც კერძო სექტორიდან). არადა, ნამდვილად საშური საქმეა ასეთი მრავალწლიანი კეთილი საქმის გაგრძელება. შეფერხების მქონე 100 ქართველი მოსწავლე, შესაძლოა, სკოლის და ბაღის გარეშე დარჩეს. იმედია, სახელმწიფო თუ კერძო სექტორი გულგრილი არ დარჩება და მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა-ბაღი, მათი მხარდაჭერით, არსებობას გააგრძელებს.




მათემატიკა

ფიზიკის კვადრობთა დასახმარებლად  
მაგნიტური ველი. ელექტრომაგნიტური ინდუქცია

ამოცანა 94

პარალელურად ჩართულ  $L$  ინდუქტივობასა და  $R$  რეზისტორთან ჩამრთველის მეშვეობით მიერთებულია  $\mathcal{E}$  ემმ-ისა და  $r$  შიდა წინაღობის დენის წყარო (იხ. სურათი). რა სიდიდის მუხტი გაივლის რეზისტორში ჩამრთვლის ჩართვის შემდეგ? კოჭას წინაღობა შეგვიძლია უგულებელვყოთ.




ამოხსნა

$R$  რეზისტორში დენი გაივლის მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც დენი იცვლება (ჩართვის მომენტიდან დროის მცირე  $\Delta t$  შუალედში), რადგან ცვლილების პროცესის დამთავრების შემდეგ მთელი დენი კოჭაში გაივლის მუდმივი დენისადმი მისი წინაღობის ნულთან ტოლობის გამო. დროის ამ პერიოდში კოჭას და შესაბამისად, რეზისტორის ბოლოებზე ძაბვა ტოლია ინდუქციის ემმ-ის:  $\mathcal{E} = -L \frac{\Delta I_1}{\Delta t}$ , სადაც  $\Delta I_1$  კოჭაში გამავალი დენის ძალის ცვლილებაა. რეზისტორში გამავალი დენი  $I_2$  არის დროის ერთეულში მასში გამავალი მუხტი:  $I_2 = \frac{\Delta q}{\Delta t} = \frac{\mathcal{E}_1}{R}$ . თუ ამ ფორმულიდან გამოვსახავთ  $\mathcal{E}_1$ -ს და

გავუტოლებთ კოჭას ემმ-ს მივიღებთ ასეთ თანაფარდობას:  $-L \frac{\Delta I_1}{\Delta t} = \frac{\Delta q R}{\Delta t}$ . დენის ძალა კოჭაში იცვლება 0-დან  $I_1$ -მდე, რომელიც ტოლი აღმოჩნდება  $I_1 = \frac{\mathcal{E}}{r}$ , რადგან დამყარებული დენი გადის მხოლოდ კოჭასა და დენის წყაროში. ამის გათვალისწინებით მივიღებთ:  $qR = \frac{L\mathcal{E}}{r}$ , საიდანაც  $q = \frac{L\mathcal{E}}{Rr}$ .

ამოცანა 95

$L_1$  და  $L_2$  ინდუქტივობის კოჭები  $R_1$  და  $R_2$  ჩამრთველების მეშვეობით მიერთებულია  $\mathcal{E}$  ემმ-ისა და  $r$  შიდა წინაღობის დენის წყაროსთან (იხ. სურათი). საწყის მომენტში ორივე ჩამრთველი გამორთულია. მას შემდეგ, რაც  $R_1$  ჩართეს და  $L_1$  კოჭაში დენმა მიაღწია  $I_0$  მნიშვნელობას, ჩართეს  $R_2$  ჩამრთველი. განვსაზღვროთ კოჭებში გამავალი დამყარებული დენები  $R_2$  ჩამრთველის ჩართვის შემდეგ. კოჭების წინაღობები შეგვიძლია უგულებელვყოთ.



ამოხსნა

$R_2$  ჩამრთველის ჩართვის შემდეგ ორივე კოჭას ბოლოებზე ინდუქციის ემ ძალები ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს (მათი პარალელურად შეერთების გამო):


$L_1 \frac{\Delta I_1}{\Delta t} = L_2 \frac{\Delta I_2}{\Delta t}$ , ანუ  $\Delta I_1 = \Delta I_2 \frac{L_2}{L_1}$  (1). ამ მომენტში პირველ კოჭაში დენის ძალა იქნება  $I_0$ , მეორეში - 0. შესაბამისად, დამყარებულ რეჟიმში (1) ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:  $I_1 - I_0 = I_2 \frac{L_2}{L_1}$  (2). ამავე დროს კოჭებში გამავალი დენის ძალების

ჯამი დენის წყაროს დენის ძალის ტოლია:  $I_1 + I_2 = \frac{\mathcal{E}}{r}$  (3)  
(3)-დან განვსაზღვროთ  $I_2$  და ჩავსვათ (2)-ში:  $I_1 - I_0 = \left(\frac{\mathcal{E}}{r} - I_1\right) \frac{L_2}{L_1}$ , საიდანაც

$$I_1 = \frac{\frac{L_2 \mathcal{E}}{r} + L_1 I_0}{L_1 + L_2} \text{ და } I_2 = \frac{L_1 \mathcal{E} - L_1 I_0}{L_1 + L_2}$$

ამოცანა 96

სურათზე გამოსახულ წრედში  $C$  ტევადობის კონდენსატორი ჩამრთველის მეშვეობით მიერთებულია პარალელურად ჩართულ  $L_1$  და  $L_2$  ინდუქტივობის კოჭებთან. ჩამრთველის ჩართვისას თითოეულ კოჭაში შესაბამისი სიდიდის დენი გაივლის.  $L_1$  კოჭაში გასული მაქსიმალური დენის ძალა  $I_1$ -ის ტოლი აღმოჩნდა. ვიპოვოთ კონდენსატორის საწყისი მუხტი. კოჭების წინაღობები შეგვიძლია უგულებელვყოთ.



ამოხსნა


ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად ინდუქტივობებში დენის ძალის მაქსიმალური მნიშვნელობების შესაბამისი მაგნიტური ველის ენერგია მიიღება კონდენსატორში არსებული ელექტრული ველის ენერგიის გაცემის ხარჯზე:  $\frac{q^2}{2C} = \frac{L_1 I_1^2}{2} + \frac{L_2 I_2^2}{2}$  (1). ვიცით, რომ  $L_1 \frac{\Delta I_1}{\Delta t} = L_2 \frac{\Delta I_2}{\Delta t}$  (იხ. ამოცანა 95). აქედან

$L_1 I_1 = L_2 I_2$ . გამოვსახოთ  $I_2 = \frac{L_1 I_1}{L_2}$  და ჩავსვათ (1)-ში. გარკვეული გარდაქმნების

შემდეგ მივიღებთ:  $q = I_1 \sqrt{\frac{CL_1(L_1 + L_2)}{L_2}}$ .

ამოცანა 97

$LC$  რხევითი კონტური ჩამრთველის მეშვეობით მიერთებულია  $r$  შიდა წინაღობის დენის წყაროსთან (იხ. სურათი). თავიდან ჩამრთველი ჩართეს და სტაციონარული რეჟიმის დამყარების შემდეგ გამორთეს, რის შემდეგაც კონტურში წარმოიქმნა რხევები  $T$  პერიოდით. ამ დროს კონდენსატორზე ძაბვის ამპლიტუდა  $n$ -ჯერ მეტი აღმოჩნდა დენის წყაროს ემმ-სთან შედარებით. ვიპოვოთ კოჭას ინდუქტივობა და კონდენსატორის ტევადობა. კოჭას წინაღობა შეგვიძლია უგულებელვყოთ.



ამოხსნა

სტაციონარულ რეჟიმში კოჭას წინაღობის ნულთან ტოლობის გამო კონდენსატორის შემონაფენებზე ძაბვა ნულის ტოლია და ამიტომ დენის ძალა წრედში ტოლია:  $I = \frac{\mathcal{E}}{r}$  (1). რხევებისას კონდენსატორზე ძაბვა ამპლიტუდურ

(მაქსიმალურ) მნიშვნელობას მიაღწევს მაშინ, როდესაც კოჭას მთელი ენერგია  $\frac{LI^2}{2}$  კონდენსატორის ენერგიაში გადავა  $\frac{C(n\mathcal{E})^2}{2}$ , ანუ  $\frac{LI^2}{2} = \frac{C(n\mathcal{E})^2}{2}$  (2). რხევის

პერიოდის გამოსაანგარიშებელი ფორმულის თანახმად:  $T = 2\pi\sqrt{LC}$  (3). (2)-ში

(1) ფორმულის ჩასმით მივიღებთ:  $L = Cn^2 r^2$ . ინდუქტივობის ამ მნიშვნელობის

(3) ფორმულაში შეტანის შემდეგ, მივიღებთ:  $T = 2\pi Cnr$ , საიდანაც  $C = \frac{T}{2\pi nr}$ .

შესაბამისად  $L = \frac{nrT}{2\pi}$ .

ამოცანა 98

$L=5$  მკჰნ ინდუქტივობისა და  $C=13330$  პგ ტევადობის კონდენსატორისგან შემდგარ რხევით კონტურში მაქსიმალური ძაბვა  $U_0=1,2$  ვ-ის ტოლია. განვსაზღვროთ კონტურში დენის ძალის მოქმედი მნიშვნელობა, მაგნიტური ნაკადის მაქსიმალური მნიშვნელობა, თუ კოჭას ხვიათა რიცხვი  $n=28$ . კოჭას წინაღობა შეგვიძლია უგულებელვყოთ.

ამოხსნა

ენერგიის კონდენსატორიდან კოჭას მაგნიტური ველის ენერგიაში გადასვლის გამო შეგვიძლია დავწეროთ:  $\frac{CU_0^2}{2} = \frac{LI_0^2}{2}$  (1), სადაც  $I_0$  - დენის ძალის

მაქსიმალური მნიშვნელობაა. (1)-დან მივიღებთ:  $I_0 = U_0 \sqrt{\frac{C}{L}}$ . ვიცით, რომ დენის

ძალის მოქმედი მნიშვნელობა:  $I = \frac{I_0}{\sqrt{2}}$ , ამიტომ  $i = U_0 \sqrt{\frac{C}{2L}} = 1,2 \sqrt{13330 \cdot \frac{10^{-12}}{2} \cdot 5 \cdot 10^{-6}} \approx 44$  მკა.

მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით გამოითვლება:  $\Phi n = LI_0$ , საიდანაც

$\Phi = \frac{LI_0}{n} \approx 1,1 \cdot 10^{-8}$  ვბ. ამიტომ საბოლოოდ  $I=UOC/2L=1,213330 \cdot 10^{-12}/2 \cdot 5 \cdot 10^{-6} \approx 44$  მკა.

# ნიჭიერებით გამორჩეულთა კერა

ანა ფირცხალაიშვილი

ქართულ ისტორიულ წყაროებში სოფელი პატარძელი XII საუკუნის დასაწყისიდან მოიხსენიება. დემეტრე I-ის მეფობის დროს (1125-1156 წწ.) ივრის ხეობას თურქები შემოესივნენ, დაარბიეს ივრისპირა სოფლები, მათ შორის, პატარძელიც. რამდენიმე გადარჩენილი ოჯახს თავი დავით გარეჯის მონასტრისთვის შეუფარებია, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. XII საუკუნის მეორე ნახევარში, გიორგი III-ის მეფობის დროს, როცა თურქთა შემოსევები აილაგმა და მშვიდობამ დაისადგურა, პატარძელიდან გაქცეულნი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდნენ და ერთ უბანში დასახლებულან. ამ უბანს დღემდე „ბერთუბანი“ ჰქვია.

თავად სახელწოდების შესახებ კი მრავალი ლეგენდა არსებობს: ზოგნი ამბობენ, სოფელი პატარძლის მზითვი ყოფილაო, ზოგნი – პატარა ძის კუთვნილება იყოო, ზოგნი – სოფელს მუდამ ლამაზი პატარძლები ჰყავდაო, ზოგნი რწმენით კი, ამ პატარა სოფელს დიდი მტერი დაუძლევია და რომელიღაც მეფეს „პატარა მძლეველი“ უწოდებიაო. პატარძელიებს სწორედ ეს უკანასკნელი ვერსია მიაჩნიათ სარწმუნოდ და ამჟამად კიდევ ამით. საამაყო სხვაც ბევრი აქვთ აქაურებს, თუნდაც ის, რომ გარეკახეთის რეგიონში სწორედ პატარძელში ამოქმედდა პირველი სამრევლო სკოლა, პირველი სახალხო თეატრი, პირველი ბიბლიოთეკა. ყველაზე მეტად კი პატარძელიები ამჟამად იმით, რომ გოგლა ჰყავთ!

სწორედ გიორგი ლეონიძის სახელობის სკოლის, მისი დანარჩენის ისტორიისა და დღევანდლობის შესახებ მინდა გაიგებოთ.

როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს „სამასხოვრო ნიგნდიდან და გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, გარეკახეთში, მათ შორის, პატარძელში საგანმანათლებლო კერები 1865 წლიდან იხსნება. ამავე წყაროებში პირველი სამრევლო სკოლის მასწავლებლად მოხსენიებულია ცნობილი ისტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის ძმა ლუკა, რომელიც მღვდლად მსახურობდა პატარძელში. 1875 წელს, ისე, როგორც ბევრ ქართულ სოფელში, მთავრობის ხარჯზე, აქაც გაიხსნა ორკლასიანი ქართულ-რუსული სასწავლებელი, სადაც პირველი მასწავლებელი ყოფილა **თომბელიზარაშვილი**, შემდეგ **მოსე ნათაძე**, **ზაქარია გულისაშვილი** და სხვები. სწავლისადმი ინტერესი პატარძელში წლით-წლით იზრდებოდა. 1879 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ გვაცნობენ, რომ სოფელ პატარძელის სკოლაში ამჟამად 60 შეგირდამდინ არისო. სკოლისთვის სადგომი ვინროაო და სოფელმა სხვა სახის დაჭერაზე უნდა იზრუნოსო. ყურადღების ღირსია ისიც, რომ ამოდენა სკოლის მასწავლებელს თვეში მხოლოდ 15 მანეთი აქვს ჯამაგირი“. სოფლის თავკაცებმა გადაწყვიტეს ახალი სასკოლო შენობის აშენება და „დროების“ კორესპონდენტის, **ნიკო ლეონიძის** (გიორგი ლეონიძის ძამა) პროტესტის მიუხედავად, სკოლა რიყის პირას აშენდა. დღევანდელი საჯარო სკოლა იმ ადგილას აღარ არის. ეს ორსართულიანი შენობა ექსპლუატაციაში 1969-70 სასწავლო წელს შევიდა და გიორგი ლეონიძის სახელობის სკოლად იწოდება, რომლის ბიუსტიც სკოლის ეზოში თვალსაჩინოდ ადგილას დგას. მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 2000

წელს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა 112 791 ლარი დახარჯა სკოლის რემონტისათვის. მას შემდეგ მესვეურები თავად უფლიან შენობას, თითქმის ყოველი სასწავლო წლისთვის აწესრიგებენ ამა თუ იმ საკლასო ოთახს. დღეისათვის აქ 347 მოსწავლე სწავლობს, წლების წინ მათი რიცხვი 500-მდეც აღიწია. 44 პედაგოგიდან ორივე საგანში 13, ხოლო ერთში 31-ია სერტიფიცირებული. სწორედ მაღალკვალიფიციური პედაგოგების დამსახურებაა, რომ შარშანდელი 23 კურსდამთავრებულიდან 2 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალოსანია, 21 სტუდენტი გახდა, ერთმა 100%-იანი დაფინანსებაც მიიღო.

გაზაფხულიდან სკოლას მისი კურსდამთავრებული და სოფლის მკვიდრი ქალბატონი **ნინო ბურდი-აშვილი** ხელმძღვანელობს. მანამდე იგი ორგანიზატორულ მუშაობას უძღვებოდა და ნარმატებულადც ბავშვებს მოსწონდათ მისი აქტიურობა და ყველა დღის განხორციელებაში ხალისით ერთვებოდნენ. ამბობენ, რომ მისგან ბევრი რამ ისწავლეს და ახლა თავად სთავაზობენ უკვე დირექტორს სხვადასხვა აქტივობებს, რომელთა განხორციელებაში უწყობანო მხარდაჭერასა და დახმარებას იღებენ. „ჩვენი მოსწავლეები განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭიერებით გამოირჩევიან, – ამბობს ქალბატონი ნინო, – ბევრი მათგანი გამორჩეულად კარგად წერს. სწავლა, რა თქმა უნდა, მათი უპირველესი ვალია, მაგრამ კარგ, აქტიურ მოქალაქეებად აღზრდაც სკოლის უმთავრესი ფუნქციაა. სხვადასხვა კონფერენციებსა და ოლიმპიადებში, კონკურსებში მოსწავლეების ჩართვა მხოლოდ ცოდნის შექმნისა და გამოყენების საშუალებად კი არაა, სწორედ ამ ფუნქციის ერთ-ერთ კომპონენტადც მიმაჩნია. რამდენიმე ასეთ აქტივობას ჩამოგივლით:

გაზაფხულზე ისტორიასა და მსოფლიო რელიგიებში რაიონული კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც V-XI კლასელთა 6-კაციანი გუნდი მონაწილეობდა (პედაგოგი – **თამარ გულიაშვილი**, კაპიტანი – **სალომე გუინაშვილი**), I ადგილი ავიღეთ; ასევე რაიონული მასშტაბით ჩატარდა შემოქმედ მოსწავლეთა კონკურსი სახელწოდებით – არგუმენტირებული ესე. აქაც I და II ადგილები ჩვენმა მოსწავლეებმა – **ნინო მუჩიაშვილმა** (XI კლ.) და **თამარ თვალაშვილმა** (VI კლ.) აიღეს; ემონაწილეობდით თსუ-ს საბუნებისმეტყველო საგნების დეკანატიის მიერ გამოცხადებულ ვიქტორინაში, რესპუბლიკის 12 სკოლასთან ერთად. შედეგი ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ ჩვენი გუნდის იმედი მაქვს; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურსში „რა, სად, როდის“ ჩვენი გუნდი ვაჟებით იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ კაპიტანი ჰყავდათ გოგო, ოქროს მედლის კანდიდატი **სალომე გუინაშვილი**. II ადგილი, ვფიქრობ, კარგი შედეგი იყო.

რაც შეეხება სამოქალაქო განათლებას, აქაც დიდა ჩვენი ბავშვების ინტერესი. ამ კუთხით განსაკუთრებით მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურობს – ბავშვთა უფლებები, ეთნოგრაფია, ჟურნალისტიკა – ეს ის სფეროებია, რომლებიც გამორჩეულად აინტერესებთ. ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის ფედერაციამ რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარა და საკმაოდ ძვირადღირებული სასკოლო რადიოკვანძის დასამონტაჟებლად გრანტიც მოვიპოვეთ, ახლა კონკურსი

აქვე გამოცხადებული ჟურნალისტიკის ასაყვანად. ამ პროექტს სკოლის თვითმმართველობის ყოფილი თავმჯდომარე **სოფო ბილანიშვილი** ხელმძღვანელობდა, ახლა, ასევე სწავლაში ნარმატებული და აქტიური მოსწავლე **მარიამ ქურხულია** თავმჯდომარეა.

როგორც ირკვევა სოფლისა და მარიამს, თანამოაზრეებთან ერთად, ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვთ. ამბობენ, რომ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მათთვის ყოფილი სახელოსნო მოეწყო, მოზრდილი ოთახია, აქ იკრიბებიან ხოლმე. განსაკუთრებული აქცენტი ახლა სამოქალაქო კლუბის შექმნაზეა გადატანილი, დებატკლუბის შექმნაზეც მუშაობენ. ლიტერატურული, გარემოს დაცვითი, ეთნოგრაფიული კლუბები ნარმატებით მუშაობს, მეტი გამოცდილებაც აქვთ. შინაგანანების მიხედვით კლუბებმა წლის განმავლობაში თითო ღონისძიება მაინც უნდა ჩატარონ. სოფი და მარიამი ამბობენ, რომ ნარმომადგენელი კლუბში ყველა კლასიდანაა, VI-დან XII კლასის ჩათვლით, ხშირად იკრიბებიან, გეგმებს ერთად აწყობენ, ცდილობენ, მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს მათ მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება და, რაც მთავარია, გვიინდა, თითოეული ბავშვი დამოუკიდებლად, პედაგოგების დახმარების გარეშე, ვაკეთებდეთ საქმეს, გვინდა სკოლის მასშტაბს გავცდეთ და თვითმმართველობის დონეზე სხვა სკოლებთან დავამყაროთ საქმიანი ურთიერთობა, ისინიც მოვინებოთ ჩვენთან. სანამ ქალბატონი ნინო დირექტორი გახდებოდა, ძალიან აქტიური იყო სწორედ ამ კუთხით, ორგანიზატორული საქმიანობით. ასეთებდა სწორედ მან გაგეზარდა, მისგან ბევრი რამ ვისწავლეო, მაგრამ ახლა გვინდა დამოუკიდებლად ვცადოთ რაღაცეების კეთება. ჩვენს ამ გადაწყვეტილებას იგი მხოლოდ იმეხალა, თუმცა ვიცით, თუ რაიმე დაგვჭირდება, ჩვენ გვერდით იქნება“. ეს ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს, ის ხომ დირექტორია და გაცილებით მეტი ბერკეტი აქვს სხვადასხვა ხასიათის საკითხებისა თუ პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლაში პედაგოგებსაც აქვთ თავ-თავიანთი პროფესიული ინტერესი კლუბებთან, მაგალითად, **მარეს უსტიაშვილმა** (უცხოური ენების პედაგოგი), რომელიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობს მოსწავლეებში და ბევრ საკითხში მათი თანამოაზრეცაა, თვითმმართველობას ინგლისურ და ფრანგულენოვანი სპექტაკლების დადგმა შესთავაზა. „სიამოვნებით მიიღეს ჩემი წინადადება, XII ჩემი სადამრიგებლო კლასია, ძალიან მონდომებულნი არიან, თავადაც ბევრი საშუალო აქვთ. დამრიგებლობა საპასუხისმგებლო მოვალეობაა და ჯერჯერობით ამიტომაც ვერ ვიცლი ვერც კლას-კაბინეტის გასაკეთებლად და ვერც სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის, მხოლოდ უნარ-ჩვევები ჩავაბარე, მინდა სპეციალობაშიც გავიდე“, – გვითხრა ქალბატონმა მარესმა და სახელმძღვანელოების შესახებ გააგრძელა საუბარი: „მაღალ საფეხურზე ნამდვილად კარგი ნიგნებია, ყველა კომპონენტია გათვალისწინებული და სწავლაც არ უჭირთ მოსწავლეებს. რაც შეეხება დაწყებითს, განსაკუთრებით პირველ კლასს, პატარებს ძალიან უჭირთ, მათ ხომ ჯერ მშობლიურ ენაზეც არ იციან წერა-კითხვა და ინგლისურად ვასწავლით. სახელმძღვანელო ინგლისურენოვან ბავშვებზეა გათვლილი და პრობლემასაც ეს ქმნის. ბუკი გვებმარება ძალიან – ის ამ-



ბობს სიტყვას და მოხმენით უფრო ადვილად იმასხორებენ. სასურველი იქნება უცხო ენის სახელმძღვანელო, ბავშვი რომ ქართველია, ამის გათვალისწინებით იყოს შედგენილი. ენის შესასწავლად, ფიქტურა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“. სახელმძღვანელოთი უკმაყოფილო გეოგრაფიის მასწავლებელი **თამარ გულიაშვილიც** აღმოჩნდა; VII-XII კლასების ქართულის სერტიფიცირებული პედაგოგის, **მეგი ცხვარიაშვილის** აზრით, თითქმის, უგულვებელყოფილია ქართული ენის გრამატიკის სწავლება, რაც სრულიად დაუშვებლად მიაჩნია; ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ყველაზე მეტად შესაბამისობაში ვეფხვადის დაწყებითი კლასების მათემატიკა მიაჩნია ქალბატონ **ნინო ბურდი-აშვილს**, თუმცა ამბობს, რომ სულაკაურის სახელმძღვანელოთი გაცილებით იოლად ითვისებენ ბავშვები...

სერტიფიცირების აუცილებლობაზე საუბრისას ისინი ამბობენ, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციის ზრდისთვის ასეთი გამოცდა მხოლოდ ერთ-ერთი გზაა და არა ერთადერთი, ბარიერის გადალახვით არ უნდა დამთავრდეს ყველაფერი. „დაიბ, პედაგოგი პრაქტიკაში უნდა მონაწილეობდეს, – ამბობს ქალბატონი ნინო ბურდი-აშვილი, – ძალიან მნიშვნელოვანია გაკვეთილის მართვის უნარი. ჩვენ პედაგოგებზეც შევთანხმდით, რომ, ურთიერთდახმარების მიზნით, დავესწრებით ერთმანეთის გაკვეთილებს და ვიმსჯელებთ ნაწიხის მიხედვით, გავაანალიზებთ თითოეულ გაკვეთილს, კათედრის ხელმძღვანელებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა ეს გადაწყვეტილება. ჩვენთვის არავის ნაურთმევია უფლება, თავად შევამოწმოთ პედაგოგების მუშაობის შედეგები. შარშან კონკურსიც კი გვეკონდა საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენად. გამარჯვებულთა შორის

**ნანა ოთარაშვილი** (ინგლისური ენის მასწავლებელი) და **კობა ბილანიშვილი** (ისტორიის მასწავლებელი) დასახელდნენ. ისინი დიპლომებით დაჯილდოვდნენ. წლებიდან სსკოლო გეგმაში საუკეთესო კლასისა და მოსწავლის (ყველა საფეხურზე) გამოვლენა გათვალისწინებით, საშუალება გვაქვს გამარჯვებულები ფუნდამენტალური **თამარ გულიაშვილიც** აღმოჩნდა; VII-XII კლასების ქართულის სერტიფიცირებული პედაგოგის, **მეგი ცხვარიაშვილის** აზრით, თითქმის, უგულვებელყოფილია ქართული ენის გრამატიკის სწავლება, რაც სრულიად დაუშვებლად მიაჩნია; ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ყველაზე მეტად შესაბამისობაში ვეფხვადის დაწყებითი კლასების მათემატიკა მიაჩნია ქალბატონ **ნინო ბურდი-აშვილს**, თუმცა ამბობს, რომ სულაკაურის სახელმძღვანელოთი გაცილებით იოლად ითვისებენ ბავშვები...

სერტიფიცირების აუცილებლობაზე საუბრისას ისინი ამბობენ, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციის ზრდისთვის ასეთი გამოცდა მხოლოდ ერთ-ერთი გზაა და არა ერთადერთი, ბარიერის გადალახვით არ უნდა დამთავრდეს ყველაფერი. „დაიბ, პედაგოგი პრაქტიკაში უნდა მონაწილეობდეს, – ამბობს ქალბატონი ნინო ბურდი-აშვილი, – ძალიან მნიშვნელოვანია გაკვეთილის მართვის უნარი. ჩვენ პედაგოგებზეც შევთანხმდით, რომ, ურთიერთდახმარების მიზნით, დავესწრებით ერთმანეთის გაკვეთილებს და ვიმსჯელებთ ნაწიხის მიხედვით, გავაანალიზებთ თითოეულ გაკვეთილს, კათედრის ხელმძღვანელებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა ეს გადაწყვეტილება. ჩვენთვის არავის ნაურთმევია უფლება, თავად შევამოწმოთ პედაგოგების მუშაობის შედეგები. შარშან კონკურსიც კი გვეკონდა საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენად. გამარჯვებულთა შორის

# შეხვედრა ახალგაზრდობის მწერალთან

15 ნოემბერი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი დღე, დიმიტრი უზნაძის სახელობის თბილისის №22 საჯარო სკოლის ცხოვრებაში უჩვეულო, საინტერესო და განცდებით აღსავსე იყო. სიმშვიდე, სიყვარული, ბედნიერება და უსაზღვრო აღტაცება, ცრემლიანი თვალები და მონონების მქუხარე ტაში, - აი, ყოველივე ის, რამაც გაათბო იმ დღეს სკოლის კედლები.

იდეა განიდა - IX კლასს პოეტ ბესიკ ხარანაულთან შეხვედრა სურდა. „ახალგაზრდობის მწერალთან“ გასაუბრება ხომ ძალიან საინტერესოა, კითხვებზე პასუხია, სინამდვილის განსხვავებული აღქმაა, მოკლედ, სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებაა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გულჩორა ჭულუხაძემ სკოლის დირექტორს, ქალბატონ გულიკო ხორბალაძეს გადასცა მეცხრეკლასელთა სურვილი და მთელი სკოლა ჩაერთო პოეტთან შეხვედრის სამზადისში. მომზადდა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია, მიძღვნილი პოეტ ბესიკ ხარანაულის საიუბილეო თარიღისადმი, მას ხომ 11 ნოემბერს 73 წელი შეუსრულდა.

მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ წაიკითხეს დიდი შემოქმედის ქმნილებათა ჩამონათვალი, შეარჩიეს, სასცენოდ მოამზადეს ეპიზოდები ნაწარმოებიდან „ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის“ და წარმოაჩინეს ავტორის ბიოგრაფია.

ბესიკ ხარანაულის თითოეული ფრაზა, ბავშვების მიერ წაკითხული, განცდის სიმძაფრითა და გულწრფელობით გამოირჩეოდა.

ლონისძიებმა გახსნა სკოლის დირექტორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 22-ე სკოლის მოსწავლეები ძალიან დაინტერესდნენ მოდერნისტი შემოქმედის, ქართულ პოეზიაში ვერლიბრის დამამკვიდრებლის ნააზრევით და ეზიარნენ მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, კიდევ ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა მოიხიბლა ბესიკ ხარანაულის ლექსებით და იგივე განცდა გადასდო მსმენელსაც.

მოულოდნელი სიხარული არც ბატონ ბესიკს დაჰკლებია...

14-15 წლის თამარ ნიკლაურმა (წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.



ქართულის მასწავლებელმა მედეა ნაცვალაძემ საკუთარი პოეტური ქმნილებით ბატონი ბესიკის ბიოგრაფიული ეპიზოდი გააცოცხლა.

ხელოვნების პედაგოგმა ხათუნა დოლონაძემ ბესიკ ხარანაულის ლექსზე „სახალისოდ“ მუსიკალური კომპოზიცია შექმნა, რომელიც სკოლის ვოკალურმა გუნდმა შეასრულა და სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა პოეტისათვის.

წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.

წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.

წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.

წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.

წარმოშობით თიანეთელი) ლექსი მიუძღვნა დიდ შემოქმედს და სხვადასხვა თაობის მთის შვილთა პოეტური თანაზიარობა საოცრად მომხიბვლელი აღმოჩნდა.

გადაეტანათ გაზეთის გვერდებზე. მათ მონიშნა და შეძლეს ნიჭიერი, განათლებული თანატოლების აღმოჩენა და მათივე შეხედულებების მკითხველისთვის მიწოდება.


ლონისძიების დასრულების შემდეგ მსოფლიოში გაუჩნდათ შორის აღმოჩნდნენ მოსწავლეები, რომლებსაც პოეტთან გასაუბრების სურვილი გაუჩნდათ და მას არაერთი საინტერესო კითხვა დაუსვეს შემოქმედებასა თუ პირად ცხოვრებაზე.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ სკოლაში ბესიკ ხარანაულის ლექსების კრებულების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო, უფროსკლასელებმა სიამოვნებით შეიძინეს წიგნები და ამ დღის სამახსოვროდ პოეტს ავტოგრაფები წააწერინეს.

ამ საინტერესო ღონისძიების მომზადებაში მოსწავლეების გვერდით იდგნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: გიული ჩაგელიშვილი, გულჩორა ჭულუხაძე, მედეა ნაცვალაძე, დალი ერაძე, ნინო ლეონიძე, ქეთევან თექეთუანიძე, ინგოგენეჯერი: მაგდა დოჭვირი.

ლონისძიებას ესწრებოდნენ: გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი, ბატონი კახა კუდავა, გამომცემლობის თანამშრომლები - ზვიად კვარაცხელია და გვანცა ჯობაჯობა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რესურსცენტრის უფროსი ასმათ მიქაძე და თანამშრომელი მაია როსტომაშვილი, რაიონის საჯარო სკოლების დირექტორები: თამთა ნაკაშიძე, დიმიტრი მეჭურჭლიშვილი, ირმა ომანაძე, თათა ჩხაიძე, ხათუნა ხულორდვა.

დალი ერაძე



**წიგნის თარიღი**

**გთავაზობთ ტექსტის კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საათესტატო გამოცდის მოთხოვნებს**

**საათესტატო გამოცდისათვის**

გვ. 1

- უზნაძის ნაწარმოები
- ბიოგრაფიული ნაწარმოები
- სიურპრიზი
- დავიწყებული

**საათესტატო გამოცდისათვის**

გვ. 2

**შოთა რუსთაველი**

**ვეფხისტყაოსანი**

**საათესტატო გამოცდისათვის**

გვ. 3

- ბიოგრაფიული ნაწარმოები
- დავიწყებული
- ავანტიურა
- ალექსანდრე პუშკინი
- ვაჟა-ფშაველას

**წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა;**  
**წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“;**  
**წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა.**

**ავტორები:**  
**თამარ გელიტაშვილი,**  
**ამირან გომარტელი**

თითოეული კრებულის ფასი - **10** ლარი

◆ კრებულში ნახვით თითქმის ყველა საკვანძო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

◆ მათი მეშვეობით გაგიაფვილდავით საკვანძო ტექსტის ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

◆ სწორი პასუხების შემთხვევაში შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სიტუაცია.

**კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83**

# დიდი გალაკტიონის ნაკვალევი



თია დიასამიძე, ელენე დვალისვილი, ანა შენგელია და მარიამ მამასახლისი გასაოცარი არტისტიზმით გამოირჩეოდნენ. ღონისძიებას განსაკუთრებული ელფერი შესძინა მასპინძელი სკოლის პედაგოგთა დასმა. ქეთინო ძაგნიძის, მზია ცხვარაძის, ლორიტა გრიშაშვილისა და თამარ ებანიძის მიერ შესრულებული, გალაკტიონის ლექსზე შექმნილი სიმღერა „მერი“ დიდხანს დაამახსოვრებდა მსმენელს.

ნაპოლეონ მესხია: „პროექტით დავინტერესდით, რადგან გალაკტიონის პოეზიისადმი სიყვარული მოსწავლეებში კიდევ უფრო განმტკიცდებოდა. გაიზრდებოდა პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოგროვების სურვილი. მადლობას ვუხდით პროექტის ორგანიზატორებს, მოსწავლეებს ამის საშუალება რომ მისცეს.“

ღონისძიების დასასრულს, სტუმრებმა მასპინძლებს საჩუქრად გადასცეს ნიგნი „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“, ირმა ქურასბედიანმა საკუთარი ლექსების კრებული „ედელვაისი“, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის წარმომადგენელმა, კალიგრაფისტმა ლეილა ბაღბაია – ფაიფურზე საკუთარი ხელით შესრულებული ნამუშევარი ამონარიდით გალაკტიონის ლექსიდან „აქ ჩემთა დღეთა აეშვა ფარდა“.

ლუიზა ტაბიძე, პედაგოგი, გალაკტიონის ბიძაშვილისშვილი: „ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე. დარწმუნებული ვარ, გალაკტიონი კიდევ მრავალ თაობას შემორჩება, როგორც დიდი მგოსანი. განსაკუთრებით მიხარია, აფხაზეთის მკვიდრმა მოზარდებმა მისი პოეზიის ასეთი ცოდნა და სიყვარული რომ გამოავლინეს.“

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ზურაბ ხელაძე – ვანის №2 საჯარო სკოლის დირექტორი; ნაპოლეონ მესხია – აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე; ავთანდილ ცქიტიშვილი – აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის პედაგოგი; ლეილა ბაღბაია – აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი.

ლეილა ბაღბაია: „ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად შემთხვევით არ შევჩერდით აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაზე. ჩვენმა მოსწავლეებმა იმედი გაგვიძარაძა. ამისთვის მადლობას ვუხდით მათ. მადლობას ვუხდით იმ კუთხეს, რომელმაც შვა დიდი გალაკტიონი და სკოლას, რომელმაც ასეთი თბილი დახვედრა მოგვინყო.“

ზურაბ ხელაძე: „ჩვენი სკოლა დიდი გალაკტიონის სახელს ატარებს. ყოველწლიურად ვანყობთ კვირეულს, რომლითაც პატივს მივაგებთ მგოსნის ხსოვნას. უფრო შთაბეჭდილი და ემოციურია წლებიდან იუბილე, რადგან აფხაზეთის მკვიდრი მოზარდები, მასწავლებლები და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები გვესტუმრენ, იმ კუთხის შვილები, სადაც პოეტმა სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარა. ვფიქრობ, ურთიერთობები გაგრძელდება. თითოეული ქართველის სურვილია, რომ მომავალი მეხვედრა აფხაზეთში დაიგეგმოს.“

ღონისძიებამ სოფელ ჭყვიშში გადანიაცვლა. სტუმრებმა და მასპინძლებმა გვირგვინით შეამკეს პოეტის ძეგლი, დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი, გადაიღეს სამასსოვრო ფოტოები და ერთმანეთს იმ რწმენით დაშორდნენ, რომ მომავალში აფხაზეთში იზიემებენ ერთად ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

მადლობა სკოლას, რომელიც მართლაც ღირსეულად ატარებს დიდი გალაკტიონის სახელს, მადლობა მის სტუმართმოყვარე კოლექტივს, პირადად ბატონ ზურაბსა და ქალბატონ მანანას, ვისი ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიებით აფხაზეთელმა მოზარდებმა უდიდესი სიბოძო და სიყვარული მიიღეს.

მედეა ზუზბაია



„...მომენატრა მზე, სინათლის მეფენი, მომენატრა ზღვა, რომელიც შორია...“, „...მომაგებე მშობლიური მიწა, შენი ძველი მეგობარი მიცან...“, „...მიიმღერა, მოიმღერა აქ ხვითომ, აფხაზეთის წვიმა მიყვარს ამიტომ...“ – წერდა აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული გალაკტიონ ტაბიძე.

აფხაზეთსაც უყვარდა გალაკტიონი. უყვარდათ და აფასებდნენ მის უდიდეს პოეზიას. ბედის ირონიამ აფხაზეთი „გაღმა ნაპირად“ აქცია. მაგრამ მის მკვიდრთ, სადაც არ უნდა იყვნენ, თან სდევთ მისი „...ჩანგი სწორუპოვარი“ და თაობებს გადასცემენ მის სიყვარულს.

უდიდესი სიბოძო და სიყვარული მიაგება პოეტის მშობლიურმა კუთხემ აფხაზეთის მკვიდრ მოზარდებს, პედაგოგებსა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს. მათ ვანის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი – ზურაბ ხელაძე) მასპინძლობდა. აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები (დირექტორი – ნონა წონორია) ვანის №2 საჯარო სკოლამ დიდი პოეტის დაბადებიდან 121-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კვირეულში, სახალხო დღესასწაულ „ჭყვიშობაში“ მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

ღონისძიება, რომელიც დაიგეგმა ვანის №2 საჯარო სკოლის, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრ „აფხაზეთის“ მიერ (ორგანიზატორები: მანანა ქიმუცაძე, მედეა ზუზბაია), გახსნა მასპინძელი სკოლის დირექტორმა ზურაბ ხელაძემ. საზეიმოდ მორთული დარბაზის კუთხეში, სალონურ მაგიდასთან იჯდა ნიჭიერი პედაგოგი ქეთინო ძაგნიძე – ღონისძიების ნამყვანი. საღამოს ლეიტმოტივად გასდევდა გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. მის ჩვენებას პედაგოგი თეონა ადგიშვილი უზრუნველყოფდა.

საინტერესო იყო აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეების: გიორგი გოგობიას, მარიამ კურტანიძის, თამარ ჩხვიმიანის, ნიკოლოზ ბოლქვაძის, გიორგი ლოლუაშვილის, მედეა ენდელაძის, ნია გოგავას, ანა რამიშვილის, მარიამ თოფურიასა და თიკო შარაშენიძის მიერ შთაბეჭდილად ნაკითხული გალაკტიონის ლექსები, მოგონებები მასზე. კომპოზიციამ მსახიობური ოსტატობით ჩაერთო ფილოლოგების კათედრა: მაია ესართია, ლელა აფშილავა და ნათელა გოგავა. საინტერესო იყო მუსიკის მასწავლებლის, ხელოვნებათმცოდნის, პოეტ ირმა ქურასბედიანის ჩართვა კომპოზიციაში, რამაც ღონისძიება უფრო შინაარსიანი გახადა.

სტუმრები მასპინძლებმა შეცვალეს, ლექსს სიმღერა სცვლიდა. თა-



სპორტი

# ქუთაისელ ჭაბუკთა პირველობა



დასრულდა საქართველოს პირველობა რაგბიში „ჭაბუკთა ლიგა“ და გაიკვია ნლევენდელი სეზონის მედალოსნები. გათამაშებაში თავიდან 16 გუნდი ჩაება, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ, თუმცა

ოაზისად სპორტის განვითარების თვალსაზრისით, სხვა ქალაქებიდან კი გუნდის გამოყვანა რუსთავმა, ქუთაისმა, ოზურგეთმა და ჭიათურამ შეძლეს. ქუთაისის თავიდან სულა ორი გუნდით ჩაება, თუმცა მერე ერთი მათგანი გამოაკლდა პირველობას.

ჩემპიონატი ორ წრედ ჩატარდა და ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნებმა ნახევარფინალებში პლეი ოფის სისტემით გააგრძელეს ბრძოლა ოქროს მედალოსნების. პირველობისთვის ბრძოლა ორივე ჯგუფში ფრიად დაძაბულად წარიმართა, პირველში კი დამატებითი მარჯვებულების მოშველიება გახდა საჭირო. აქ „ქუთაისმა“ და თბილისის „ლელომ“ თანაბარი - 47-47 ქულა დააგროვეს, პირველობა კი რიონის-პირელებს ერგოთ, რადგან პირად შეხვედრაში დაჯანს მეთოქე. საინტერესოა, რომ ამათი უშუალო შეხვედრებიც, ცოტა არ იყოს და ალოგიკურად წარიმართა - პირველ

წრეში თბილისელებმა ქუთაისში 22:21 იმარჯვეს, მაგრამ მეორეში სტუმრად უკვე იმერლებმა შეძლეს ლირსული რევენშის აღება და დიდი ანგარიშით იმარჯვეს - 43:12.

პირველობისთვის ბრძოლა მთლად ასე დაძაბული არ გამოდგარა მეორე ჯგუფში, სადაც რუსთავის „ხარები“ და თბილისის „აკადემია“ შედარებით დანაწარმდნენ და გაექცნენ მდევრებს, თუმცა მათ შორის განსხვავება ერთადერთი ქულა გამოდგა - რუსთაველებმა 49 ქულა დააგროვეს და მინიმალური სხვაობით გაუსწრეს მდევარს.

ნახევარფინალებში სენსაცია არ მომხდარა - ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები გავიდნენ, თუმცა ქუთაისელებმა აკადემიელებთან შეხვედრაში ერთი უცნაური ტენდენცია კვლავაც გააგრძელეს - სტუმრად უკეთ ითამაშეს, ვიდრე სახლში. მათ პირველ შეხებაში თბილისში 13:10 იმარჯვეს, შინ კი ფრეს დასჯერდნენ - 6:6, თუმცა ფინალის

საგზური მაინც მათ დარჩათ. მეორე წვეილში ლელოელებმა თავიდან რქები კი ნაამტვირის „ხარებს“ - პირველ შეხვედრაში 8:7 მოუგეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერს გახდნენ მათთან, განმეორებითი რუსთაველებმა 16:6 იმარჯვეს და 26 ნოემბერს ოქროს მედალოსნის ბრძოლაში, ავჭალაში მდებარე სარაგბო სტადიონზე, ქუთაისელებს დაუპირისპირდნენ. იმერლები ამ შეხვედრაშიც დომინირებდნენ და არ გასჭირვებიათ შეხვედრის სასურველ შედეგამდე მიყვანა იმის მიუხედავად, რომ „ხარებიც“ ლირსული მეთოქე გამოდგა და ტოლი არ დაუდო კონკურენტს. მთლიანობაში შეხვედრა ფრიად დაძაბული და თვალსასიერო გამოდგა, ანგარიში კი 25:18 ქუთაისელთა სასარგებლოდ. მათვე მოიპოვეს ოქროს მედალები, რუსთაველები მეორეზე დარჩნენ, მესამეზე კი „აკადემია“ გავიდა, რომელმაც 26-შივე, იმავე სტადიონზე „ლელოს“ 11:9 მოუგო.

# უსხოელთა ტურნირი თბილისში

მოგესხენებათ, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ერთ-ერთი მათგანის - სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ (პრეზიდენტი - **კახა აბულაძე**) კარგი საჩუქარი გაუკეთა სტუმრებს - საგანგებოდ უცხოელი სტუდენტებისთვის საფეხბურთო ტურნირი მოაწყო, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ზოგიერთი, განსაკუთრებით ფართო აუდიტორიით წარმოდგენილი ქვეყანა, ტურნირში 2-2 გუნდითაც კი ჩაება, მთლიანობაში შეჯიბრებაში 10 მონაწილე გამოვიდა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯე უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების

მთავარი მწვრთნელი **ვახტანგ ბაქანიძე** იყო, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდა თურქეთ-აზერბაიჯანის სტუდენტთა კურატორი, თურქი **ერჰან ჩეთინი**. ორგანიზატორებმა მონაწილენი ორ 5-5-გუნდიან ქვეჯგუფად გაყვეს, რომელთაგანაც ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავიდა. საბოლოოდ ფინალში თამაშის უფლება ნიგერიამ და თურქეთის პირველმა გუნდებმა მოიპოვეს, რომლებმაც ორშაბათს ითამაშეს ტურნირის დასკვნითი შეხვედრაში.

ერთი შეხვედრით, ამ მატჩს ყველაფერი ჰქონდა, რაც ფეხბურთს ამშვენებს - ფრედ დასრულებული ორი ტაიმი, დამატებითი დრო და საფეხბურ-

თო გვირგვინად ნოდებული პენალტების სერია, თუმცა თამაშს მაინც აკლდა ის სილამაზე და დახვეწილობა, რაც ფეხბურთს და ზოგადად სპორტს ახასიათებს. უცხოელი სკაუტებისგან ხშირად გამოვიდა, რომ ქართველებს ნიჭიერი ბავშვები გვყავს. მათი სიტყვების სისწორეში ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა. არ ვამბობთ, რომ სტუდენტები თავს ზოგადდნენ, პირიქით - ბოლომდე დაინარჯნენ და მოედანზე დაძაბულობა იყო, მაგრამ კლასი ცოტა მეტი მოეთხოვებოდათ.

ნოემბრის სალამოსპირისთვის დამახასიათებელი სუსხის მიუხედავად, ორივე გუნდს ბლომად ქომაგი ჰყავდა და აქტიურადაც ამხნეებდნენ თავისიანებს, თუმცა აფრიკელები მაინც სჭარბობდნენ. თურქები თითქოს უფრო გააზრებულად თამაშობდნენ, კომბინაციები უფრო ეტყობოდათ, მაგრამ ცოტა უფრო ათლეტური და სწრაფად მორბენალი ჯანიანი ნიგერიელები შორეული დარტყმების ხარჯზე უფრო მწვავედ უტყვებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარებულ მათ გოლკიპერ **ბატუჰან ერქუთს** უფრო ხშირად მოუხდა თამაშში ჩართვა და უფრო მწვავე დარტყმებიც გააუწვებდა.

შეხვედრის ძირითადი დრო 3:3 დასრულდა. ალბათ, ექვსივე გოლის აღწერას აზრი არ აქვს. მით უფრო, ლამის ყველა მათგანი უფრო ძლიერი, შორეული დარტყმებით გავიდა და არა სოლო-რეიდებით, მაგრამ ერთს კი გამოვარჩევ - ნიგერიელმა **კლიფორდ ინჯამ** მესამე გოლი შორეული დარტყმით გაიტანა, როცა მარჯვენა ძლიდან ასსლეთილი ბურთი კარში შევარდა. გოლიც საკმაოდ ლამაზი გამოვიდა, თუმცა უფრო მიმზიდველი მომდევნო ეპიზოდი გამოდგა, როცა გახარებულმა ინჯამ მოედანზე „აფრიკული საფეხბურთო სამბა“ დადგა - 4-5-ჯერ ზურგს უკან ისეთი ყირამალები აკეთა, „კულბიტებით“ ლამის ნახევარი მოედანი გაიარა. მას თანაგუნდელმაც აუბა მხარი და ამ მატჩის ყველაზე ემოციური, თვალსასიერო სანახაობაც დადგეს. არა, ამ ხალხს რაც სისხლში აქვს, იმას ვერ წაართმევ.

დამატებითი დროც სცენარით წარიმართა - ორივე გუნდი უტყვდა, მთავარი იარაღი კი ორივესთვის მეთოქის ნახევარში გრძელი ჩანოვება იყო იმ იმედით, რომ იქ ბურთს მათი რომელიმე თანაგუნდელი დაეუფლებოდა, ბურთის მომხელელები კი გოლის გატანას ძირითადად შორეული დარტყმებით ცდი-



ლობდნენ. მიზანსაც ძირითადად ასე მიაღწიეს - ორივემ თითოჯერ და ჯერი პენალტებზე მიდგა... მოგესხენებათ, ეს უფრო ლატარეაა, რომელმაც ამჯერად აფრიკელებს გაუღიმა, თუმცა ნურც მათი მეკარის გარჯას დავიწყებთ, რომელმაც რამდენიმე დარტყმა მოიგერია. ისიც სათქმელია, რომ თურქებმა ბოლო დარტყმა, რითაც ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, კარს ააცილეს. მართალია, მეკარემ დარტყმის კუთხე გამოიცილა, მაგრამ ბურთის კარში წასვლის შემთხვევაში ვინ იცის, რა მოხდებოდა...

ნიგერიელებს ლამაზი, მოზრდილი თასი გადაეცათ მედლებთან ერთად. ასევე დაჯილდოვდნენ თურქებიც -

მათი მეორე გუნდი მესამეზე გავიდა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები ამ ქვეყნების წარმომადგენლები გახდნენ - საუკეთესო მეკარეზე უკვე ვითხარით და ბომბარდირიც თურქი გახდა - **ალქუთ გურბუზი**. დანარჩენი ინდივიდუალური პრიზები ნიგერიელებს ერგოთ - საუკეთესო მცველად **კრისტოფერ ერზე** დაასახელეს, თავდამსხმელად - ზემოსხენებული ინჯა, შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული კი **ვიტუს ამატუს** გადაეცა. არაა გამორიცხული, ისინი თსსუ-ს ნაკრებშიც მოხვდნენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაბაძე



